ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3044305

ნომერი: AR1462038

თარიღი : 07.12.2016

გაცემის თარიღი : 12.01.2017

გაცნობის თარიღი : 16.01.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მეაბრეშუმეობის ს/კ ინსტიტუტი / ქალაქი თბილისი , დიღმის სასწ. საცდელი მეურნეობა / ქალაქი თბილისი , დავით აღმაშენებლის ხეივანი , მე-13 კმ. ნაკვეთი 13/090;

დამკვეთი-განმცხადებელი
- სამსონ ფხაკაძე პ/ნ 01024006897
- ქ. თბილისი, ბროლოსანის ქ. #31, ბინა #12

ორგანიზაცია:
- ვენჯორჯია კოდი: 404885335

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  რეკონსტრუქცია

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილულ იქნა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლის პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ვინაიდან, საპროექტოდ გათვალისწინებული სამუშაოები ასევე ითვალისწინებს სარეკლამო კონსტრუქციის დემონტაჟს, საჭიროა წარმოდგენილ იქნას აღნიშნულის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი, წინააღმდეგ სემთხვევაში აღნიშნულის დემონტაჟთან დაკავშირებით საჭიროა მიმართოთ ზედამხედველობის სამსახურს და ისე განახორციელოთ უნებართვოდ მოწყობილი კონსტრუქციის დემონტაჟი, რის შემდგომაც საჭიროა წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტოსურათები და მის საფუძველზე დამუშავებული ფოტომონტაჟი.
ვინაიდან წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება რომ აბრების განთავსება ხდება შენობის ისეთ ფასადზე სადაც მოწყობილია ღიობები, საჭიროა დამატებით განიმარტოს ინფორმაცია მოთხოვნის ტექსტში ხდება თუ არა ასევე აღნიშნულის დემონტაჟი, და მოთხოვნის ტექსტში სრულყოფილად დაფიქსირდეს განსახორციელებელ სამუსაოებთან დაკავშირებით ინფორმაცია, წინააღმდეგ შემთხვევაში ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების, მუხლი 18, პუნქტი 10, ქვეპუნქტი ა)–ს თანახმად: განაშენიანების რეგულირების წესებისა და მოქმედი კანონმდებლობის დაცვით მოწყობილი საინფორმაციო ან/და სარეკლამო აბრების, წარწერების, ყუთების, ბილბორდების და სხვა მსგავსი ელემენტების ჯამური ფართობი არ უნდა აღემატებოდეს განთავსების ადგილზე (არა)საცხოვრებელი ერთეულის შესაბამისი ფასადის ან/და სახურავის ნაწილის ფართობის 20%–ს.
საჭიროა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით წარმოდგენილ იქნას სარეკონსტრუქციო ფასადის სრულყოფილი გაბარიტული ზომები და მასზე ასევე მითითებულ იქნას არსებული და საპროექტო აბრების გაბარიტები და შესაბამისად მოხდეს პროცენტულობის დაანგარიშება, რაც არ უნდა აღემატებოდეს ფასადის 20%-ს.
თქვენ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით კი საპროექტო აბრების პროცენტულობა აჭარბებს დადგენილ ნორმას.
საჭიროა აღნიშნული მოყვანილ იქნას კანონმდებლობასთან შესაბამისობაში და პროცენტულობის დაანგარიშებისას ასევე გათვალისწინებულ იქნას არსებული აბრების ფართობები.

აქვე გაითვალისწინეთ, რომ სამსახურის მიერ მითითებული ხარვეზების გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში წინამდებარე განცხადება დარჩება განუხილველი.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.